

მომზადება-გადამზადების პროგრამის შემუშავებისას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის წესი

1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს პროფესიული მომზადების, გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 დონესთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიას.
2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თითოეული დონის სწავლის შედეგები მოიცავს წინა დონის სწავლის შედეგებსა და მოითხოვს უფრო მაღალ დონეს.
3. სწავლის შედეგების დონის დადგენის საფუძველია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერები, მისი ელემენტები - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“, „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ და ამ წესში განსაზღვრული ასპექტები, რომელიც აღწერილია თითოეული დონის მიხედვით.
4. მომზადების, გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგები, დონის შესაბამისად, განსაზღვრული უნდა იყოს სწავლის ან საქმიანობის სფეროს შესატყვისი, კონკრეტული და გაზომვადი. სწავლის შედეგები შესაძლოა ეფუძნებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მხოლოდ ერთ ელემენტს, ან ერთი ელემენტის მცირე ნაწილს.
5. მომზადების, გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგებში რამდენიმე ელემენტის არსებობის შემთხვევაში, დონის დადგენისას განიხილება ელემენტთა ერთობლიობა, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, აგრეთვე გამოიყენება ბლუმის ტაქსონომიის ზმნები.
6. მომზადება, გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირში არსებული შესაბამისი დონის აღმწერი ექვემდებარება კოდირებას შემდეგი პრინციპების დაცვით: “D (2-5)” - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე; „MG“ - მომზადების, გადამზადების პროგრამები; “K” - ცოდნა და გაცნობიერება; „S“ - უნარი; „AR“ - ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა. „T“, “O”, “M” - ცოდნისა და გაცნობიერების ასპექტები; “I”, “O”, “M”, “C”, “L” - უნარის ასპექტები; “CO”, „R” - ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ასპექტები.

ჩარჩოს ელემენტები	სწავლის/დასაქმების სფეროსთან/პროფესიასთან დაკავშირებული ასპექტები
ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. ფაქტები, პრინციპები, თეორიები, კონცეფციები 2. პროფესიული ეთიკა 3. სამუშაოს ორგანიზების მეთოდები, პროცესები, ტექნოლოგიები 4. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი წესები/რეგულაციები/მოთხოვნები 5. მასალებისა და ინსტრუმენტების მახასიათებლები, გამოყენების წესები
უნარი	<ol style="list-style-type: none"> 1. სათანადო მონაცემების/ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და გამოყენება 2. სამუშაოს დაგეგმვა 3. ტექნოლოგიების შერჩევა-გამოყენება 4. მასალებისა და ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება 5. წესების, ინსტრუქციების, რეგულაციების დაცვა 6. კომუნიკაციის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა, მიზნობრივ ჯგუფთან გამოყენება
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<ol style="list-style-type: none"> 1. პასუხისმგებლობის აღება საკუთარ და სხვების საქმიანობაზე 2. ეთიკის შესაბამისად ქმედება 3. როლი კოოპერაციაში, საკუთარი და სხვების ქმედებების მიმართ დამოკიდებულება 4. პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე, პროფესიული განვითარების დაგეგმვა

მეორე დონე

ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
<p>მეორე დონე სირთულის კრიტერიუმები 1. მასშტაბი - კონკრეტული პროფესიის მოვალეობასთან ან/და ამოცანასთან დაკავშირებული 2. გარემო - სტრუქტურირებული, უცვლელი 3. დამოუკიდებლობის ხარისხი - სხვისი ხელმძღვანელობითა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით 4. საქმიანობის შესრულების სირთულე - ერთგვაროვანი/რუტინული დავალების შესრულება და ერთგვაროვანი/რუტინული პრობლემის გადაჭრა მარტივი წესით</p>		
<ul style="list-style-type: none"> პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის აღწერა პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტ(ებ)ის/მასალ(ებ)ის ჩამოთვლა. პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი ამავე ამოცანასთან დაკავშირება. 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიის ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე სამუშაოს შესრულება დავალებიდან გამომდინარე შესაბამისი მასალების/ინვენტარის გამოყენებით კონკრეტული ამოცანის შესრულება ამოცანის შესრულების პროცესში წამოჭრილი მარტივი პრობლემების შესახებ შესაბამისი პირის ინფორმირება 	<ul style="list-style-type: none"> სხვათა ხელმძღვანელობით, თუმცა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით პროფესიის კონკრეტული ამოცანის სტრუქტურირებულ და უცვლელ გარემოში შესრულება შესრულებული ამოცანის შესახებ მარტივი წერილობითი შეფასების შესრულება
<ul style="list-style-type: none"> პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულებისას უსაფრთხოების წესების/პრინციპების, ან/და პროფესიის ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული რეგულაციების, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხების, ან/და სხვა მოთხოვნების ახსნა. 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიის კონკრეტული ამოცანის შესრულებისას შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის წესების/რეგულაციების/ინსტრუქციების გამოყენება პროფესიის კონკრეტული ამოცანის შესრულება დავალებით განსაზღვრული მეთოდის გამოყენებითა და გარემოსდაცვითი წესების დაცვით 	
	<ul style="list-style-type: none"> შესრულებული ამოცანის შესახებ მარტივი წერილობითი აღწერის მომზადება 	

მესამე დონე

ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
<p>მესამე დონე სირთულის კრიტერიუმები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მასშტაბი - კონკრეტულ დასაქმების სფეროსთან ან/და პროფესიასთან დაკავშირებული 2. გარემო - პროგნოზირებადი, ნაწილობრივ ცვალებადი 3. დამოუკიდებლობის ხარისხი - კონკრეტული დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით შესრულება 4. საქმიანობის შესრულების დონე/ხარისხი/სირთულე - კონკრეტული დავალების შესრულება, ერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა საკვანძო/ძირითადი მეთოდ(ებ)ის, მასალ(ებ)ის, ინსტრუმენტ(ებ)ისა და ინფორმაციის გამოყენებით 		
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიის ამოცან(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული აქტივობის/აქტივობების ჩამოთვლა, ტერმინების განმარტება • პროფესიის კონკრეტული ამოცან(ებ)ის შესრულებისას საჭირო პროფესიული ეთიკის წესების ჩამოთვლა ან/და განმარტება • მეწარმეობის საფუძვლებისა და პრინციპების განმარტება კონკრეტულ დასაქმების სფეროს ან/და პროფესიასთან კავშირში 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიის ამოცან(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და დამუშავება (შედარება, შეფასება, ანალიზი). მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე სამუშაოს განსაზღვრა/დაგეგმვა • დაგეგმილი აქტივობებიდან გამომდინარე, სტანდარტული პროცედურების შესაბამისად, სამუშაო ადგილის/გარემოს ორგანიზება • სამუშაოს დაგეგმვის ან/და სამუშაო ადგილის/გარემოს ორგანიზების პროცესში წამოჭრილი მარტივი პრობლემების გადაჭრა და ამისთვის, საჭიროებისამებრ, ინფორმაციის მოძიება-გამოყენება 	<ul style="list-style-type: none"> • რუტინული/ერთგვაროვანი დავალებების ავტონომიურად შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების ან/და ცვლილებებისას, დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, კონსულტირების მიზნით ხელმძღვანელისთვის მიმართვა • დასახული მიზნის მისაღწევად ჯგუფში საქმიანობა, დისკუსიებში მონაწილეობა, სხვათა განსხვავებული მოსაზრებების თმენით მოსმენა-გააზრება, საკუთარი აზრის ფორმულირება, ახსნა/გადაცემა • კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან, მომხმარებელთან/სპეციალისტებთან და

		არასპეციალისტებთან პროფესიული ეთიკის დაცვით თანამშრომლობა
<ul style="list-style-type: none"> პროფესიის ამოცან(ებ)ის შესრულების პროცესის, გამოსაყენებელი მეთოდების/ტექნოლოგიების აღწერა და ინტერპრეტირება პროფესიის ამოცან(ებ)ის რუტინულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ამოცნობა, მათგან ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის ერთმანეთისგან განსხვავება და განმარტება/აღწერა პროფესიის ამოცანას(ებ)თან დაკავშირებული რუტინული მეთოდების, პროცესების ან/და ტექნოლოგიების აღწერა და კლასიფიცირება. 	<ul style="list-style-type: none"> განსაზღვრულ/დაგეგმილ სამუშაოსთან დაკავშირებული ინსტრუმენტების, მასალების, აღჭურვილობის შერჩევა სამუშაო ადგილის/გარემოს ორგანიზება შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის წესების/რეგულაციების/ინსტრუქციების გამოყენებით პროფესიის ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობ(ებ)ის შესრულება შერჩეული ტექნოლოგიით/მეთოდით, სათანადო მასალის, ინვენტარის, აღჭურვილობის, გარემოსდაცვითი წესების გამოყენებით დავალების/აქტივობების შესრულებისას, დადგენილ სტანდარტებთან მიმართებაში, შეფასება და საჭიროებისამებრ ადაპტირება ნაწილობრივ ცვალებად პირობებთან 	<ul style="list-style-type: none"> დავალების შესრულებისას პროფესიისთვის დადგენილი ეთიკური ნორმების დაცვით ქმედება საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების/განვითარების შეფასება, საჭიროებების გამოვლენა-განმარტება პროგნოზირებად გარემოში სათანადო ხელმძღვანელობითა და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის ახალი ცოდნის შეძენის შესაძლებლობის განსაზღვრა
<ul style="list-style-type: none"> პროფესიული ჯანმრთელობის დაცვისა ან/და შრომის უსაფრთხოების წესების/პრინციპების, ან/და პროფესიის ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული რეგულაციების, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხების, ან/და სხვა მოთხოვნების ახსნა/განმარტება. 	<ul style="list-style-type: none"> დაგეგმილი სამუშაოს შესახებ წერილობითი აღწერის მომზადება შესრულებული საქმიანობისა და მისი შედეგების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება დაგეგმილი და შესრულებული საქმიანობის წერილობით აღწერებში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება, დაინტერესებული პირებისთვის მათ შორის ინფორმაციის როგორც ზეპირად, ასევე წერილობით გადაცემა-მიწოდება, მათ შორის კომუნიკაცია IT-ის გამოყენებით მარტივი სქემების ან/და ნახაზების პრეზენტირება 	
<ul style="list-style-type: none"> პროფესიის ამოცან(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული მასალებისა ან/და ინსტრუმენტების/აღჭურვილობის მახასიათებლების, მათი გამოყენების წესების ჩამოთვლა ან/და განმარტება, კლასიფიცირება. 	<ul style="list-style-type: none"> დაგეგმილი და შესრულებული საქმიანობის წერილობით აღწერებში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება, დაინტერესებული პირებისთვის მათ შორის ინფორმაციის როგორც ზეპირად, ასევე წერილობით გადაცემა-მიწოდება, მათ შორის კომუნიკაცია IT-ის გამოყენებით მარტივი სქემების ან/და ნახაზების პრეზენტირება 	

მეოთხე დონე

ცოდნა	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
<p>მეოთხე დონე სირთულის კრიტერიუმები 1. მასშტაბი - დასაქმების სფეროსთან ან/და პროფესიასთან დაკავშირებული 2. გარემო - პროგნოზირებადი, მაგრამ ცვალებადი 3. დამოუკიდებლობის ხარისხი - საკუთარი საქმიანობის მართვა, ერთგვაროვანი სამუშაო პროცესების ზედამხედველობა, საქმიანობის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის აღება 4. საქმიანობის შესრულების დონე/ხარისხი/სირთულე - არაერთგვაროვანი დავალების დამოუკიდებლად შესრულება, არაერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა</p>		
<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>	<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>	<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>
<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული პროფესიის შესაბამისი დასაქმების სფეროს ზოგადი პრინციპების ან/და ფაქტების აღწერა • პროფესიის ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებებისა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა • პროფესიის ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობის შესრულებისას გამოსაყენებელი მეთოდებისა და გადაწყვეტილებების განმარტება • ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების აღწერა/განმარტება • პროფესიის კონკრეტული ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობის შესრულებისას საჭირო პროფესიული ეტიკის წესების ინტერპრეტირება 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ამოცანის/მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ფორმირება და ჩანაწერების გაკეთება, მათ შორის კომპლექსური ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. • პროფესიული ამოცანის/მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამუშავება, მათ შორის რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება. 	<ul style="list-style-type: none"> • შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებსა და პრინციპებს; შეუძლია ლოიალობის პრინციპების დაცვა დამქირავებელთან და თანამშრომლებთან საურთიერთოდ

<ul style="list-style-type: none"> პროფესიის არაერთგვაროვან დაკავშირებული დამატებითი ერთმანეთისგან განმარტება/აღწერა პროფესიის მოვალეობ(ებ)ასთან დაკავშირებული მეთოდების, პროცესების ან/და ტექნოლოგიების აღწერა და კლასიფიცირება პროფესიული ჯანმრთელობის დაცვის ან/და შრომის უსაფრთხოების წესების/პრინციპების, ან/და პროფესიის ამოცან(ებ)ის/მოვალეობ(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული რეგულაციების, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხების, ან/და სხვა მოთხოვნების ახსნა/განმარტება 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული ამოცანის/მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით გეგმის შემუშავება. მცირე სამუშაო ჯგუფის მართვა და კოორდინაცია, საკუთარი, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების პროფესიული საქმიანობისას პრობლემების იდენტიფიცირება. 	<p>სამუშაო ჯგუფში მუშაობის პრინციპებისა და ეთიკური წესების დაცვა</p>
<ul style="list-style-type: none"> პროფესიის ან/და ამავე სფეროს მომიჯნავე პროფესიის ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობ(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული მასალების, ინსტრუმენტების, აღჭურვილობის, მათი მახასიათებლების, ასევე გამოყენების წესების ჩამოთვლა, განმარტება, კლასიფიცირება. 	<ul style="list-style-type: none"> როგორც საკუთარი, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების სამუშაო გარემოს განვითარებაზე ზრუნვა, მათ შორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული ამოცანების/მოვალეობების შესრულებისას ეთიკური პრინციპების დაცვა, სოციალური ფაქტორებისა და ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინება, ამოცანის/მოვალეობის შესრულების ხარისხის გაკონტროლება პასუხისმგებლობა მცირე ზომის სამუშაო გუნდების ხელმძღვანელობისათვის, პასუხისმგებლობის აღება პროფესიული ამოცანის/მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით
	<ul style="list-style-type: none"> პირადი პროფესიული განვითარების დაგეგმვა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირთათვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხების სწავლება 	

მეხუთე დონე

ცოდნა	უნარი	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა
<p>მეხუთე დონე, სირთულის კრიტერიუმები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მასშტაბი - დასაქმების სფეროსთან და პროფესი(ებ)ასთან დაკავშირებული 2. გარემო - სწრაფად ცვალებადი (არაპროგნოზირებად) 3. დამოუკიდებლობის ხარისხი - სამუშაო პროცესების ზედამხედველობა და მართვა; სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება 4. საქმიანობის შესრულების დონე/ხარისხი/სირთულე - კომპლექსური დავალების შესრულება, აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადაჭრა, სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება 		
<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>	<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>	<p>პროფესიული მომზადება - გადამზადება</p>
<ul style="list-style-type: none"> • დასაქმების სფეროს მრავალმხრივი დახასიათება • პროფესიის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოების, პრინციპებისა და კონცეფციების აღწერა/განმარტება • პროფესიის მოვალეობის შესრულებისას გამოსაყენებელი მეთოდების განმარტება- 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიისათვის საჭირო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული მასალების შექმნა და შენახვა; • დაკვირვება მოცემული პროფესიული სფეროს განვითარებაზე, მის სამართლებრივ ჩარჩოსა და ადგილობრივ კონტექსტზე; • მოცემული პროფესიის ანალიზი არსებული რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიის პრინციპების დაცვა, სათანადო ხარისხისა და უსაფრთხოებს უზრუნველყოფა • ეთიკური პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა • მუშაობის ხარისხის შესწავლა-გათვალისწინება, ასევე ეკონომიკური და სოციალური გარემოებებისა და

<p>ინტერპრეტირება, გადაწყვეტილებების</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების აღწერა/განმარტება • პროფესიის კონკრეტული ამოცან(ებ)ის ან/და მოვალეობის შესრულებისას საჭირო პროფესიული ეთიკის წესების ინტერპრეტირება 		<p>პროფესიისათვის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ საზოგადოებაში ურთიერთობების მართვა, სხვებისთვის ინფორმაციის გაზიარება-გაცვლა
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიასთან/სფეროსთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების განმარტება 	<ul style="list-style-type: none"> • ცვალებადი პირობების გათვალისწინებით პროფესიული ამოცანების/მოვალეობების შესრულების გეგმის შემუშავება და გარემოებების შესაბამისად მისი გადახედვა • მცირე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ ამოცანებს/მოვალეობებს • შესრულებული პროფესიული საქმიანობისა და მათი ეფექტების (შედეგების) ანალიზი და შეფასება, პრობლემების გადაჭრა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; • პროფესიულ ამოცანებთან/მოვალეობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვა; თანამშრომლობითი დამოკიდებულება მომხმარებელთან და კოლეგებთან. 	
<ul style="list-style-type: none"> • პროფესიაში გამოყენებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების აღწერა/განმარტება და შეფასება 	<p>შესრულებული პროფესიულ ამოცანების მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების, ტექნოლოგიების, პროცედურებისა და მასალების შერჩევა.</p>	

<ul style="list-style-type: none"> • საქმიანობის პრინციპებისა და პროფესიაში, სფეროში გამოსაყენებელი ინსტრუმენტების, დანადგარებისა და აღჭურვილობის მოხმარების წესების განმარტება • სფეროსთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი რეგულაციების აღწერა 	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი პროფესიული კომპეტენციების ანალიზი და შეფასება; • პროფესიულ კომპეტენციების განახლებისა და გაფართოების მიზნით ხელმისაწვდომი შესაძლებლობების დამოუკიდებლად გამოყენება; • დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების სატრენინგო საჭიროებების შეფასება; • ზედამხედველობის გაწევა პრაქტიკანტისათვის/ახლად დაქირავებული თანამშრომლისათვის. 	
---	--	--